



კავკასიის უნივერსიტეტი  
CAUCASUS UNIVERSITY

**Honorary  
Doctor**

## შაბთაი ცური



პროფესორი შაბთაი ცური დაიბადა 1951 წლის 15 თებერვალს, საქართველოში, ვანში. დაამთავრა ვანის მეორე საშუალო სკოლა და 1972 წელს, საცხოვრებლად ისრაელში წელს წავიდა.

1972 წელს მან განათლება მიიღო სანქტ პეტერბურგის უნივერსიტეტში, მიენიჭა ეკონომიკის პირველი ხარისხი. 1985 წელს დიპლომი საბანკო საქმეში მიიღო, ხოლო 1996 წელს, მიენიჭა ინგლისის TVU უნივერსიტეტის ფილიალის პირველი ხარისხი მენეჯმენტში.

მას გავლილი აქვს კურსები საბანკო ინვესტიციები ადგილობრივი მმართველობის ქრილში 1979 წელს, გენერალური დირექტორის კურსი 2000 წელს და ადგილობრივი მმართველობისა და ებრაული სააგენტოს სხვადასხვა კურსი 2000-2003 წლებში.

პროფესორი შაბთაი ცური 1973-1989 წლებში, ლუემის ბანკის მაღალი რანგის თანამშრომელი იყო. 1985-1989 წლებში ქალაქი აშკელონის მუნიციპალიტეტის წევრი იყო, რის შემდეგაც 1989 -1991 წლებში აშკელონის მერის მოადგილე, ხოლო 1991-2003 წლებში აშკელონის მერის პირველ მოადგილე გახდა. 2003 წელს, შაბთაი ცური აშკელონის მერად დაინიშნა. 1990-2004 წლებში, ჰალპერინის ხანდაზმულთა სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 1995 წლიდან, საქართველოდან ისრაელში ამოსულთა ეროვნული და საერთაშორისო გაერთიანების თავმჯდომარე იყო.

1996-1998 წლებში, პროფესორი შაბთაი ცური ასრულებდა ისრაელის პრემიერ მინისტრის მრჩველის მოვალეობას საქართველოსა და კავკასიის საკითხებში. 1998-2004 წლებში კი, ისრაელში საქართველოს საპატიო კონსული გახლდათ. 2002 წელს, კავშირგაბმულობის კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი გახდა, ხოლო 2002-2013 წლებში, ქართველი ებრაელების მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარე იყო. ამავდროულად, 2003 წელს, იკავებდა აშკელონისა და მიმდებარე ტერიტორიის მუნიციპალური გარემოს თავმჯდომარის პოსტს.

2005-2008 წლებში, პროფესორი შაბთაი ცური გახლდათ ისრაელის ელჩი საქართველოში. მისი პროფესიული საქმიანობა 2011-2013 წლებში მოიცავს ეილათის პორტის კომპანიის თავმჯდომარეობას, ხოლო 2011-2016 წლებში აშკელონის საგანმანათლებლო დაწესებულებების თავმჯდომარეობას. 2012-2016 წლებში, მას აშკელონის ვიდე მერის თანამდებობა ეკავა, ამავდროულად 2013 –2016 წლებში, აშკელონის მუნიციპალიტეტის ფინანსური, სამრეწველო, სავაჭრო და საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

2016-2019 წლებში, პროფესორი შაბთაი ცური გახლდათ ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში. მას ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს და ისრაელის ურთიერთობების განვითარებაში და არაერთი წარმატებისთვის აქვს მიღწეული ამ მიმართულებით. მისი მოღვაწეობა მოიცავს ისრაელთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას და ისრაელსა და საქართველოს შორის მყარი მეგობრობის ჩამოყალიბებას.

2018 წლის 7 ოქტომბერს, თბილისობაზე, თბილისის მერიამ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში შაბთაი ცურს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

ამჟამად, პროფესორი შაბთაი ცური კომპანია ტოტოს თავმჯდომარე და აშდოდის პორტის დირექტორია.